



საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ბხსუ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წესს, მონიტორინგსა და შეფასების მექანიზმებს.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებით მიღებული ინფორმაცია.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგის სახის ინფორმაციის მოპოვება:

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული სასწავლო კურსების სირთულის ხარისხი;
3. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამით/სასწავლო კურსით გათვალისწინებულ შედეგებთან;
4. შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის დარგობრივი ცოდნა და პედაგოგიური უნარები;
6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სწავლის შედეგების შეფასების მეთოდების ცოდნა;
7. სტუდენტთა მომზადების დონე/საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევადობა.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ჩატარება.

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ტარდება სემესტრულად ან/და საჭიროებისამებრ;
2. შეფასების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტურობის მიზნით რეგულარულად მუშავდება სტატისტიკური მონაცემები;
3. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი დეპარტამენტის და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად;
4. სასწავლო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან თანამშრომლობით;
5. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება შეფასების უწყისების მონაცემების ანალიზს.

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები.

თეორიული მიმართულება

1. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - 1.1 საუკეთესო სტუდენტების (91-100 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
 - 1.2 დაბალი აკადემიური მოსწრების (51-60 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს;

- 1.3 საშუალო აკადემიური მოსწრების (81-90 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
- 1.4 საშუალო აკადემიური მოსწრების (71-80 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
- 1.5 საშუალო აკადემიური მოსწრების (61-70 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 25%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

საშემსრულებლო მიმართულება

- 2. თეორიული მიმართულებებისგან განსხვავებით, საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტები უფრო მეტად მოტივირებული არიან (ეროვნულ გამოცდებამდე აბარებენ შემოქმედებით ტურს), აქედან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები განსხვავებულია და განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - 2.1 საუკეთესო სტუდენტების (91-100 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 35%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
 - 2.2 დაბალი აკადემიური მოსწრების (51-60 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
 - 2.3 საშუალო აკადემიური მოსწრების (81-90 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 30%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
 - 2.4 საშუალო აკადემიური მოსწრების (71-80 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 20%-ს არ უნდა აღემატებოდეს;
 - 2.5 საშუალო აკადემიური მოსწრების (61-70 ქულა) რაოდენობა საერთო რაოდენობის 10%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

მუხლი 5. ანალიზის შედეგების განსაზღვრის კრიტერიუმები

- 1. 91-ზე მეტი ქულის მქონე სტუდენტთა განსაზღვრულზე მეტი ნაწილის არსებობის შემთხვევაში მიიღება შემდეგი დასკვნა:
 - 1.1 სტუდენტები გენიოსები არიან.
 - 1.2 პროგრამა მარტივია.
 - 1.3 შეფასების მეთოდები არაადეკვატურია/ლექტორი ლიბერალურია სტუდენტების მიმართ.
- 2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებთან შედარებით სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა უფრო მაღალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში მიიღება შემდეგი დასკვნა:
 - 2.1 მაგისტრატურაზე ხდება საუკეთესო სტუდენტების შერჩევა.
 - 2.2 მაგისტრატურაზე სტუდენტთა სწავლის მოტივაცია განსხვავებულია ბაკალავრიატისაგან - მეტი პასუხისმგებლობით ეკიდებიან სწავლას.
 - 2.3 მაგისტრატურაში ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, რაც სტუდენტებთან მუშაობის უკეთეს პირობებს ქმნის.
- 3. სემესტრის განმავლობაში სტუდენტების განსაზღვრულზე მეტის მიერ ყველა სასწავლო კურსში უმაღლესი შეფასებისას მიიღება შემდეგი დასკვნა:
 - 3.1 პროგრამა მარტივია და საჭიროა მისი გართულება.
- 4. სემესტრის განმავლობაში სტუდენტების უმრავლესობის მიერ ყველა სასწავლო კურსში მხოლოდ დაბალი შეფასებისას მიიღება შემდეგი დასკვნა:
 - 4.1 საჭიროა პროგრამის შესაბამისი ადაპტირება.

მუხლი 6. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების ანალიზი.

- 1. სტუდენტთა მოსწრება ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში;
- 2. ერთი სემესტრის განმავლობაში სტუდენტთა ერთი და იმავე ჯგუფის მიერ სხვადასხვა სასწავლო კურსში მიღებული შეფასების შედარებითი ანალიზი.